შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,

ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის

სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

"მ შ ე ნ ა ღ დ გ ე ნ ა/მ"

დასკვნა

ქ. თბილისში, იალბუზის ქ. №7-სა და ლუსინიანის ქ. №5-ს შორის

საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების შენობის

მშენებლობის ზეგავლენის შესახებ მომიჯნავე

შენობა-ნაგებობებზე

თბილისი

2015 წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მშენებლობის, პროექტირების, პროექტების ექსპერტიზის,

ნაგებობათა მდგრადობის და აღდგენა-რეკონსტრუქციის

სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი

“მ შ ე ნ ა ღ დ გ ე ნ ა/მ”

დასკვნა

ქ. თბილისში, იალბუზის ქ. №7-სა და ლუსინიანის ქ. №5-ს შორის საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების შენობის მშენებლობის მეგავლენის შესახებ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე

ექსპერტები:

გენერალური დირექტორი,

ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,

საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,

საქართველოს დამსახურებული მშენებელი /მ. ბედიაშვილი/

მთავარი ინჟინერი /ვ. ოდილავაძე/

თბილისი

2015წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, იალბუზის ქ. №7-სა და ლუსინიანის ქ. №5-ს შორის საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების შენობის მშენებლობის მეგავლენის შესახებ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე

ქ. თბილისი *26.02.2015 წ.*

ამხანაგობა "სასკო ავლაბარი"-ს და შ.პ.ს. "მშენაღდგენა/მ"-ს შორის 2015 წლის 26 თებერვალს დადებული №09 ხელშეკრულების საფუძველზე, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა ქ. თბილისში, იალბუზის ქ. №7-სა და ლუსინიანის ქ. №5-ს შორის განლაგებული ტერიტორია, სადაც განზარახულია საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების, გეგმაში ლათინური ასო "L"-ის ფორმის ორი "ა" და "ბ" ბლოკის მშენებლობა.

შენობები 10 და 11 სართულიანია. ორ მიწისქვეშა სართულზე განლაგდება ავტოსადგომი 68 ავტომანქანაზე -6,0 ნიშნულზე, სადაც მოსახვედრად ეწყობა პანდუსი იალბუზის ქუჩის მხრიდან და -3,0 ნიშნულზე ლუსინიანის ქუჩის მხრიდან.

პროექტის განხორციელების შედეგად დაკმაყოფილდება ორასამდე დაზარალებული მობინადრე, რომლებიც წლების განმავლობაში დაზარალებულის სტატუსით ითხოვენ მერიდიან დახმარებას.

მშენებლობის უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრის შ.პ.ს. "საინჟგეო"-ს მიერ 2007 წელს ჩატარებულია სათანადო გამოკვლევები.

ტერიტორია დაქანებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. რომელთა შორის სხვაობა დაახლებით 5 მეტრს შეადგენს.

მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

საძირკვლების დაფუძნება ხდება სუსტად გამოფიტულ ქვიშაქვებსა და არგილიტებზე ლენტურ-კოჭოვან კონსტრუქციით, ძლიერ გამოფიტულ ფენაში გავლით.

კარკასის მზიდი ელემენტები შესრულებულია მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან-საძირკვლები, სართულშუა გადახურვები და კიბეები.

ბეტონის კლასი სიმტკიცის მიხედვით B-25-ია, ხოლო წყალშეღწევადობის მიხედვით W8 (მხოლოდ ±0,00 ნიშნულის ქვემოდ განთავსებული კონსტრუქციებისათვის).

შენობა გაანგარიშებულია 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე, როგორც ერთიანი სივრცული სისტემა.

დამკვეთის ცნობით ქვაბული ამოღებულია და გეოლოგის მიერ მიღებული იქნა 2008 წელს. შემდეგ ცნობილი მოვლენების მიზეზით მშენებლობა შეჩერებული იქნა.

ამჟამად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ა.წ. 23 თებერვლის გადაწყვეტილების №1745638-ის მიხედვით, მშენებლობის განახლებისათვის ხარვეზის სახით მოთხოვნილია ობიექტის მშენებლობისას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე გეგავლენის განსაზღვრა.

აღნიშნულის გამო ა.წ. 25 თებერვალს ადგილზე შემოწმებული იქნა ასაშენებელი სახლის შესაძლო გეგავლენა გვერდით მდგომ შენობა-ნაგებობებზე, შემოწმების შედეგად დადგინდა:

1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე (ქვაბული დაახლებით -6,00 ნიშნულამდეა დამუშავებული) მშენებარე ობიექტის გეგავლენა უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან განვლილი 7 წლის განმავლობაში ქვაბული არც ჩამოშლილა და არც რაიმე ნიშნები ამისა რა შეიმჩნევა.

ფერდის შემადგენელი ფენები წარმოადგენენ კენჭნარს კაჭარის 10%-მდე ჩანართებით ქანებს და ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობას, რომელთა შიდა ხახუნის კუთხეები შესაბამისად $\varphi=30^0$ და $\varphi=80^0$-მდეა.

2. ლუსინიანის პირველი შესახვევის №3-ში მდებარე ორსართულიანი სახლი განლაგებულია საპროექტებელი შენობის სამხრეთით და 10 მეტრით არის დაცილებული ქვაბულიდან (ს.კ 01.17.01.134.021).

3. ლუსინიანის ქუჩაზე №16/5-ში მდებარე ოთხსართულიანი სახლი 10,5 მ-ით არის დაცილებული ქვაბულიდან, ხოლო ქვაბულის წიბოდან საპროექტებელი სახლი კიდევ 6 მ-ით არის მოცილებული აღნიშნულ სახლს (ს.კ 01.17.01.139.002).

4. ლუსინიანის ქუჩაზე №14–ში მდებარე ორსართულიანი სახლი 10,5 მ-ით არის დაცილებული ქვაბულიდან, ხოლო ქვაბულის წიბოდან საპროექტებელი სახლი კიდევ 6 მ-ით არის მოცილებული აღნიშნულ სახლს. (ს.კ 01.17.01.139.005).

5. ლუსინიანის ქუჩაზე №9-ში მდებარე 2 სართულიანი შუშაბანდიანი შენობა, რომელიც განლაგებულია ქვაბულიდან ჩრდილოეთით, 15 მეტრითაა დაცილებული ქვაბულიდან. (ს.კ 01.17.01.134.028).

6. იალბუზის ქუჩის №7-ში მდებარე 2 სართულიანი შენობა, რომელიც განლაგებულია ქვაბულიდან ჩრდილოეთით 12 მეტრითაა დაცილებული ქვაბულიდან. (ს.კ 01.17.01.134.023).

7. მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედნის მიმდებარედ განთავსებულ შენობა-ნაგებობების მზიდ კონსტრუქციებში შესაძლო ბზარებზე დაყენებული იქნას თაბაშირის მანიშნები და წარმოებული იქნას მონიტორინგი მშენებლობის მიმდინარეობის დროს.

დასკვნა

ქ. თბილისში, იალბუზის ქ. №7-სა და ლუსინიანის ქ. №5-ს შორის საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების შენობის მშენებლობა ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავედ განლაგებულ შემდეგ შენობებზე: ლუსინიანის ქ. №5-ში, ლუსინიანის I შესახვევის №3-ში (ს.კ 01.17.01.134.021), ლუსინიანის ქუჩის №16/5-ში (ს.კ 01.17.01.139.002), ლუსინიანის ქუჩის №14-ში (ს.კ 01.17.01.139.005), ლუსინიანის ქუჩის №9-ში (ს.კ 01.17.01.134.028) და იალბუზის ქუჩის №7-ში (ს.კ 01.17.01.134.023). გამომდინარე აქედან არ საჭიროებს ზემოთ აღნიშნულ შენობა-ნაგებობებზე კონსტრუქციულ დასკვნას.

ექსპერტები:

ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი /მ. ბედიაშვილი/

მთავარი ინჟინერი /ვ. ოდილავაძე/